საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის ცამეტი აგვისტო
საქართველოს ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171)

საქართველოს ნოტარიუს ხატია ბერიძეს მიერ შემოწმებულია „მარწმუნებლის" პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ით, აგრეთვე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. „მარწმუნებლის" ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. „მარწმუნებელმა" დაადასტურა, რომ გაცნობილია და სრულად ეთანხმება რწმუნებულების/მინდობილობის შინაარსს.

მარწმუნებელი:

შპს „დიდუბე-2025" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402344389; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჩოლურეთის რაიონი, ჩერქეზიშვილის (ბოჭორიძის) ქ., შეს., N17) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის, **ირმა კუპრაძის** (დაბადების თარიღი: 03.02.1968 წელი, პირადი ნომერი: 01013020867; საქართველოს მოქალაქის პასპორტის სერია და ნომერი: 24AB32130; გაცემის თარიღი: 21.07.2025 წელი; მოქმედების ვადა: 21.07.2035 წელი; გამცემი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო; მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ივანე როსტომაშვილის ქუჩა N 17) მიერ, თანახმად **შპს „დიდუბე-2025"-ის** ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25083224, მომზადების თარიღი: 04/06/2025 13:14:09)

რწმუნებული:

ირაკლი ანდრონიკაშვილი (დაბადების თარიღი: 11.04.1987 წელი; პირადი ნომერი: 01034002952; რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი სოლომონ ქურდიანის I შეს. N 4ა)

რწმუნებულება

ირმა კუპრაძე, როგორც **შპს „დიდუბე-2025"-ის** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402344389) დირექტორი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც წინამდებარე რწმუნებულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი" **ირაკლი ანდრონიკაშვილს** - შემდგომში „რწმუნებულს" ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებულების უფლებამოსილების ფარგლები:

„რწმუნებული" უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი" ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის გამგეობაში, მუნიციპალიტეტებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, მერიაში, მერიის იურიდიულ სამსახურში, მერიის არქიტექტურის სამსახურთან, მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ა.შ., რათა „მარწმუნებლის" კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რომლის მახასიათებლებია - მისამართი: ქალაქი თბილისი, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილი"-ს, მიმდებარედ; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.12.03.001.003, მიიღოს პროექტის შეთანხმებაზე ნებართვა და მშენებლობის უფლება, ნებართვა, ბრძანება. „რწმუნებული" უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ინფორმაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს „მარწმუნებლის ინტერესები არქიტექტურული ნახაზებისა და პროექტის შედგენისას, შეასრულოს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მოამზადოს და შეათანხმოს პროექტები, უზრუნველყოს შეთანხმებულ პროექტში ცვლილებების შეტანა, „რწმუნებული" უფლებამოსილია მოამზადოს შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო

ირმა კუპრაძე

პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, ამონაწერები, საკადასტრო გეგმა/რუკა, წარადგინოს ელ. განცხადი, დაარეგისტრიროს ან/და ატვირთოს დოკუმენტები შესაბამის ვებ-გვერდზე, საჭიროებისამებრ დააკორექტიროს არქიტექტურული პროექტი, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დოკუმენტები, ჩააბაროს მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში მშენებლობის ეტაპები, მოახდინოს უძრავი ქონების ექსპლოატაციაში მიღება-ჩაბარება, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, კორექტირებები, ხარვეზის გამოსწორება, ცვლილებების შეტანა ან/და დამატება, გააგრძელებინოს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები, ბაჟი, მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს „მარწმუნებლის" სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია მინიჭებული უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებასთან.

რწმუნებულება გაცემულია „მარწმუნებლის" საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვის, აგრეთვე სანივთო უფლებით ან/და ვალდებულებით დატვირთვის გარეშე.

რწმუნებულებაში ასახული ყველა მონაცემი მითითებულია „მარწმუნებლის" განცხადებით.

რწმუნებულების მოქმედების ვადა:
რწმუნებულება ძალაშია 2025 /ორი ათას ოცდახუთი/ წლის 13 /ცამეტი/ ნოემბრის ჩათვლით.
მარწმუნებელს განემარტა, რომ ნებისმიერ დროს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია წინამდებარე რწმუნებულების გაუქმება, მათ შორის პირდაპირი ელ. კომუნიკაციის საშუალებით, რის შესახებაც უნდა აცნობოს „რწმუნებულს".
რწმუნებულება გაცემულია მინიჭებული უფლებამოსილებების სრულად ან/და ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

რწმუნებულების ეგზემპლარების რაოდენობა:
წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 /სამი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო 2 /ორი/ ეგზემპლარი გადაეცა მარწმუნებელს.

რწმუნებულების დანართი:
რწმუნებულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუს ხატია ბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტ(ებ)ი:
შპს „დიდუბე-2025"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402344389) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და შპს „დიდუბე-2025"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402344389) სადამფუძნებლო შეთანხმება /ფოტო ასლი/.

სანოტარო მომსახურების საზღაური:
სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 40.40 /ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი/ ლარი. აქედან 30.00 /ოცდაათი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 31-ე მუხლისა, 5.40 /ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

საქართველოს ნოტარიუსი ხატია ბერიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21809054036125

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251049664

რეგისტრაციის თარიღი

13.08.2025 წ

ნოტარიუსი: ხატია ბერიძე
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171)
ტელეფონი: +995 032 2 4348 20; + 995 5 91 91 21 91

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

